ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2425132

ნომერი: AR1375635

თარიღი : 03.02.2016

გაცემის თარიღი : 09.02.2016

გაცნობის თარიღი : 09.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი III , N71 , (ნაკვეთი 01/017) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხათუნა ბიბილაშვილი პ/ნ 01001009343
- თბილისი ო.დგებუაძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და შენობა, რომელზეც დაგეგმილი გაქვთ კონდიციონერების მოწყობა არის ახლად აშენებული, არქიტექტურული თვალსაზრისით ჩამოყალიბებული იერსახის მქონე შენობა, სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ინდივიდუალურად, მხოლოდ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადებზე კონდენციონერის მოწყობა მიზანშეწონილად მიაჩნია იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, თუ თქვენს მიერ შემუშავდება ერთიანი ესკიზი, რომელიც გაითვალისწინებს შენობის ფასადის სარეკონსტუქციო ვერტიკალურ სვეტში არსებულ ყველა ფართის ფასადზე კონდიციონერების მოწყობას, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული სამუშაოების განორციელებაზე შესაბამისი წერილობითი თანხმობა გაიცემა ერთიანი იერსახის გათვალისწინებით თქვენთვის ინდივიდუალურად.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი უნდა იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, შორი მანძილიდან გადაღებული ხედით (ფასადი პირველიდან ბოლო სართულამდე) და აღნიშნული ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ერთიანი ესკიზის ფოტომონტაჟი, თქვენი საპროექტო ფართის მონიშვნით.
იმ შემთხვევაში კონდენციონერის მოწყობა გათვალისწინებულია გზის მხარეს გამომავალ ფასადზე, თითოეული კონდენციონერი უნდა შეიფუთოს დეკორატიულ, არსებულ შენობასთან მისადაგებულ დეტალებში, ისე, რომ მათი ხილვადობა იყოს ნაკლებად თვალსაჩინო. აღნიშნულის შესაბამისად დააკორექტირეთ ფოტომონტაჟი.
ფოტომონტაჟთან ერთად წარმოდგენილი იქნას საკადასტრო გეგმა, მასზე საპროექტო სვეტის მონიშვნით.

გარდა ამისა:

– " განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში ატვირთეთ ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
– ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში). ასევე შესაძლებელია მესაკუთრის თანაგანმცხადებლად დაფიქსირება.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.